ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

KA01011543075661S

№2231

25 / აგვისტო / 2015 წ.

მარიამ შპორტ- 0102500203, მის. დოლაშვილის #22/18

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N3642/12 წერილის პასუხად სამსახური გაძლევთ რეკომენდაციას „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 251-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ (წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებობის ნებართვა) 22.10.2014წ. N1542104 ბრძანებით შეთანხმებული პროექტიდან გადახვევით ქ. თბილისში, დოდაშვილის ქ. #22/18-ში/ქ. თბილისში, დოდაშვილის ქ. #18-ში მრავალფუნქციური კომპლექსის მე-2 ბლოკის თქვენი დაკვეთით მიმდინარე მშენებლობაზე შემდეგი დარღვევის გათვალისწინებით:

„6-10 ფასადი“: „6-7“ მონაკვეთში დამატებულია კანალიზაციის მილი. -7,70 ნიშნულზე კარების ნაცვლად მოწყობილია ვიტრაჟები. –4.50 ნიშნულზე შემცირებულია კარების სიმაღლეები. "6-8" მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა. +16.50 ნიშნულზე „8-9“ მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. „6-7“ და „9-10“ მონაკვეთებში +33.00 ნიშნულზე შემცირებულია აივნის მოაჯირის სიმაღლე. „6-6“ და "10-10“ ღერძზე აივნების მოაჯირებზე შეცვლილია დეკორატიული ელემენტის (ჟალუზი) ნახატი.

„10-6 ფასადი“: „5-6“ მონაკვეთში აივნებზე დამატებულია ტიხრები. „6-6“ ღერძთან, მარცხენა მხარეს აივნის მოაჯირებზე დამატებულია დეკორატიული ელემენტები (ჟალუზები), ხოლო +0,00 ნიშნულზე მარჯვენა მხარეს მოწყობილია მონოლითური დაბალი კედელი. „10-9“ მონაკვეთში შეცვლილია აივნების მოაჯირების ნახატები. „9-8“ მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი. კარის ზევით და მარჯვნივ შეცვლილია ფანჯრების ნახატი. ორი ფანჯარის ნაცვლად მოწყობილია ლითონის გისოსი. +33.00 ნიშნულზე შემცირებულია აივნების მოაჯირების სიმაღლე.

–4.50 ნიშნულზე ლიფტის შახტასთან დამატებით მოწყობილია საფეხურები. „ა–გ“ მონაკვეთში კიბის უჯრედში შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. „7-9“ მონაკვეთში „-7,70“ ნიშნულზე „ე–ე“ ღერძზე შეცვლილია კოლონის ფორმა. +36.90 ნიშნულთან „7-9“ მონაკვეთში აივნის გადახურვის ფილაზე მოწყობილია თუნუქის ფურცელი. გაზრდილია პარაპეტის სიმაღლე. „6-6“ ღერძზე, „ა–ბ“ მონაკვეთში ვიტრაჟების ნაცვლად მოწყობილია კარები. სახურავზე მოწყობილია კაპიტალური კედლები და გადახურულია მსუბუქი გადახურვით. შეცვლილია გამწოვი შახტების გაბარიტი და რაოდენობა, დამატებულია ლითონის ფურცლები.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ საჭმენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება.

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე